

აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ცენტრის დებულება

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2025 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/72 დადგენილებით

საქართველო, ქ. თბილისი

საქართველოსტექნიკური უნივერსიტეტი

2025

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. ცენტრის მიზნებია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეფექტური ფინანსური მენეჯმენტის განხორციელებაში ხელშეწყობა, ფინანსური სიჯანსაღისა და მდგრადობის უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ერთიანი სისტემის დანერგვა და ადმინისტრირება.
3. ცენტრი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საბიუჯეტო ორგანიზაციების აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის წესდების, წინამდებარე დებულების, ცენტრის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ცენტრი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, რომლებიც ახორციელებენ მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
ა) აქტივების და ვალდებულებების ყოველწლიური სავალდებულო ინვენტარიზაცია;
ბ) ინვენტარიზაციის შედეგებიდან გამომდინარე სხვაობების რეგულირება;
გ) ინვენტარიზაციის შედეგებიდან გამომდინარე ინფორმაციის მომზადება, ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
დ) ბუღალტრული მონაცემების და ფაქტიური ნაშთების შედარება;
ე) შერჩევითი ინვენტარიზაციის ჩატარება;
ვ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების

განხორციელება.

მუხლი 3. ცენტრის ხელმძღვანელობა და პერსონალი

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. ცენტრის უფროსი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე.
3. ცენტრის უფროსი:

ა) ცენტრს უსახავს გრძელვადიან და მოკლევადიან ამოცანებს, წარმართავს და აკონტროლებს სამუშაო გეგმებს დასახული ამოცანების მიღწევის მიზნით, პასუხისმგებელია მათ შესრულებაზე;

ბ) აფიქსირებს ცენტრის პოზიციას იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი;

გ) პასუხისმგებელია მის დაქვემდებარებაში მყოფი ცენტრის თანამშრომლების შეფასებაზე, წახალისებაზე, განვითარებაზე, მოტივაციაზე, დისციპლინარული ღონისძიებების ინიცირებაზე, ითანხმებს ან/და თავად განსაზღვრავს ცენტრის მიერ შესასრულებელი სამუშაოს ვადებს;

დ) ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს ცენტრის საქმიანობას, არეგულირებს და წყვეტს პროფესიულ და ორგანიზაციულ პრობლემებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცენტრის ეფექტური მუშაობისთვის;

ე) ითანხმებს და პასუხისმგებელია ცენტრის მიერ შესრულებულ ფუნქციებზე, პროცედურებზე, დასკვნებზე, ანგარიშებზე და სხვადასხვა სახის აქტებზე;

ვ) ხელს აწერს და ვიზას ადებს ცენტრში მომზადებულ დოკუმენტებს;

ზ) წარუდგენს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წინადადებებს ცენტრის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის ოპტიმიზაციის მიზნით;

თ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა ცენტრის ამოცანების შესასრულებლად;

ი) აკონტროლებს ცენტრის თანამშრომელთა მიერ შინაგანაწესის დაცვას;

კ) პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ლ) ახორციელებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზრვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. ცენტრის უფროსის მოადგილე თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) მონაწილეობს ცენტრის მიერ შესასრულებელი ამოცანების პრიორიტეტიზაციაში;

ბ) აკონტროლებს და ხელს უწყობს ცენტრისათვის დასახული ამოცანების მიღწევის პროცესს;

გ) ცენტრის თანამშრომლებს აძლევს რჩევებსა და რეკომენდაციებს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით;
დ) მონაწილეობს ან თავად უწევს ორგანიზებას და კონტროლს ცენტრის საქმიანობას, არეგულირებს და წყვეტს პროფესიულ და ორგანიზაციულ პრობლემებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცენტრის ეფექტიანი მუშაობისთვის;
ე) ხელს უწყობს ცენტრის უფროსს მისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელების პროცესში, ასრულებს ცენტრის უფროსის მოვალეობებს მისი არყოფნის ან მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში;
ვ) ცენტრის უფროსის დავალებით ასრულებს სხვა ფუნქციებს.
5. ცენტრის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის უფროსის მოადგილე ან რექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ხელფასის სათანადო სხვაობის ანაზღაურებით.
6. ცენტრის საშტატო რიცხოვნობა და რანგირება განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის და საშტატო ნუსხის შესაბამისად.
7. ცენტრის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
8. ცენტრის თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, სამუშაოთა აღწერილობებით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულება ძალადაკარგულად ითვლება ახალი დებულების დამტკიცების ან/და ცენტრის ლიკვიდაციის შემთხვევაში.